MES 2 22 0000352175

05/04/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა

სამონაზვნე ბარბარე /ციალა მეგრელაძე - სკოლის დირექტორი
გოგიტა მშვენიერაძე - სკოლის წარმომადგენელი

შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსი

მარინა ბერძენიშვილი - სკოლის დირექტორი
ნათია ქაჯაია - სკოლის იურისტი

შპს პოლიგლოტი

მზია დაუშვილი - სკოლის დირექტორი/დამფუძნებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლა

ცირა ნიკოლაშვილი
ნინო ბალანჩივაძე

შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსი

ლელა ფიცხელაური
ელისო მერებაშვილი-ლოლაშვილი

შპს პოლიგლოტი

ნოდარ ანგურიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 01 აპრილს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს პოლიგლოტის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და ნინო ბალანჩივაძემ. ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა დისტანციურ ფორმატში მიმდინარე წლის 24 და 25 თებერვალს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ფლობდა სამ შენობა-ნაგებობას, რომლიდანაც ორ შენობაში განთავსებული იყო კლასები, ხოლო მესამე შენობა ეთმობოდა სპორტულ აქტივობებს, სადაც განთავსებული იყო სპორტული დარბაზი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ფართს ფლობდა თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 10 წლის ვადით ჰქონდა ნოტარიულად გაფორმებული. ექსპერტმა დასძინა, რომ აღნიშნული ვიზიტის პერიოდში საჯარო რეესტრის ამონაწერით არ დასტურდებოდა. ექსპერტთა რეკომენდაციით, სკოლამ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, თუმცა ექსპერტის თქმით, მათთვის უცნობი იყო აღნიშნულთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, რადგან პროცედურას ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა ისაუბრა სკოლის პროგრამულ რესურსზე და აღნიშნა, რომ სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულება მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით მრავალფეროვან აქტივობებს სთავაზობდა, როგორიც იყო ცეკვა, სიმღერა, დაზგური ქსოვა, ქარგვა, ხეზე კვეთის წრე, კინო მოყვარულთა კლუბი და ფოლკლორისტთა კლუბი.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, ასევე, ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსზე და აღნიშნა, რომ სკოლას არსებული რესურსით შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 250 მოსწავლისთვის, თუმცა ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 95 მოსწავლე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ორივე შენობის შიდა სივრცეები და შესასვლელები სრულად კონტროლდებოდა უსაფრთხოების კამერებით, თუმცა არ კონტროლდებოდა შენობის ეზო და მიმდებარე ტერიტორია. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ არ კონტროლდებოდა მესამე შენობა, სადაც სპორტული დარბაზი იყო განთავსებული. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული ტერიტორიების კონტროლი ხორციელდებოდა არადისტანციურად დირექტორის მოადგილისა და სკოლის დარაჯის მიერ.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, აგრეთვე ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში დასაქმებული იყო 32 მასწავლებელი.
ექსპერტმა ისაუბრა მათ რეკომენდაციებზე, სადაც აღნიშნა, რომ დაწესებულების შინაგანაწესის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი იყო სკოლის დამფუძნებელი, თუმცა სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია. ასევე, ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმის შესახებ, სადაც, მისი თქმით, გეგმის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი ინდიკატორი არ იყო მკაფიო და ზუსტი და დოკუმენტი საჭიროებდა მეტად დაკონკრეტებას, კერძოდ, მისაღწევი შედეგების, ვადებისა და პასუხისმგებელი პირების დაზუსტებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხით მიმართა ექსპერტებს უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, თუ გაიცა რეკომენდაცია ექსპერტების მიერ უსაფრთხოების კამერების დამატებასთან დაკავშირებით და რამდენად იყო საკმარისი არსებული კამერების რაოდენობა. რაზეც ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა უპასუხა, რომ ორი შენობა სრულად იყო აღჭურვილი შიდა და გარე კამერებით, თუმცა მესამე შენობა არ კონტროლდებოდა არც შიდა და არც გარე პერიმეტრით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რა ეტაპზე იყო საჯარო რეესტრიდან პასუხის მიღების პროცედურა. რაზეც სკოლის წარმომადგენელმა, გოგიტა მშვენიერაძემ უპასუხა, რომ აღნიშნული იყო მიმდინარე პროცესი და საჭიროებდა გარკვეულ დროს. რაც შეეხებოდა უსაფრთხოების კამერებს, სკოლის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სკოლას შეძენილი ჰქონდა 9 ვიდეო კამერა, საიდანაც 6 დამონტაჟებული იყო კიბის უჯრედებში, ხოლო 3 სპორტულ დარბაზში. შესაბამისად, მისი თქმით, ექსპერტთა რეკომენდაცია აღნიშნულთან დაკავშირებით გათვალისწინებული იყო.

სკოლის დირექტორმა, სამონაზვნე ბარბარე /ციალა მეგრელაძემ დაამატა, რომ სკოლას გათვალისწინებული ჰქონდა ექპერტთა მხრიდან გაცემული რეკომენდაციები. მან ისაუბრა დაწესებულების განვითარების გრძელვადიან (ექვსწლიან) გეგმაზე და აღნიშნა, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია ამ მიმართულებითაც ჰქონდათ გათვალისწინებული. კერძოდ, ინდიკატორები ჰქონდათ მეტად დაზუსტებული და აღნიშნული გეგმა ჰქონდათ გამოქვეყნებული სკოლის ვებ-გვერდზეც.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კომენტარი გააკეთა უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სპორტულ დარბაზშიც მიმდინარეობდა ისეთივე სასწავლო პროცესი, როგორც საკლასო ოთახებში, შესაბამისად, მისი თქმით, დაუშვებელი იყო აღნიშნული სივრცის კონტროლი უსაფრთხოების კამერებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა იკითხა სკოლის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმებთან დაკავშირებით, რამდენად აკმაყოფილებდა სკოლა აღნიშნულს. ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული იყო ინფორმაცია დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიულ განვითარების შესახებ. სკოლის პერსონალთან დაკავშირებით, დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლის ექთანს, დარაჯსა და დამლაგებლებს ჰქონდათ სპეციალური ტრენინ-კურსები გავლილი პანდემიის მართვასთან დაკავშირებით. ასევე, სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა ბიბლიოთეკარიც, რომელსაც გავლილი ჰქონდა პროფესიული გადამზადების კურსი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის N11 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 27 აპრილიდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 27 აპრილიდან.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც. საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლას (ს/კ: 447860119) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 27 აპრილი.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, მიმდინარე წლის 27 აპრილამდე წარმოედგინათ განახლებული ამონაწერი თხოვების ხელშეკრულების ამსახველ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით.

2. შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა. ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 2 და 4 მარტს. ექსპერტის თქმით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან და გამოთქვამდნენ მზაობას, რომ გამოესწორებინათ ექსპერტთა მიგნებები და აღმოჩენილი ხარვეზები. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა სკოლის საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც ითვალისწინებდა სკოლის პირველკლასელთათვის სასკოლო წიგნების კომპლექტის ჩუქებას. ექსპერტმა ისაუბრა იმ ხარვეზებზე, რაც გამოიკვეთა სკოლის შეფასების დროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სამივე სტანდარტთან მიმართებით. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ

სკოლას ძირითად შემთხვევაში არ ჰქონდა გათვალისწინებული თავის დოკუმენტაციაში მოქმედი კანონმდებლობის საკითხები. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლა განმარტავდა, რომ ეს ყოველივე განპირობებული იყო პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე. სკოლის პროგრამულ ნაწილთან დაკავშირებით, ექსპერტმა ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ სკოლა იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს, თუმცა აღნიშნული არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლამ, ვიზიტის შემდგომ აღნიშნულთან დაკავშირებით წერილით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ექსპერტმა, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა მექანიზმები გაწერილი მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი, რომლითაც სკოლა იმოქმედებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში. მან დაამატა, რომ აღნიშნული დოკუმენტი სკოლამ ვიზიტის შემდეგ შეიმუშავა. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები, რომელიც, ექსპერტის თქმით, ასევე ვიზიტის შემდეგ პერიოდში შეიმუშავა დაწესებულებამ.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების მატერიალურ რესურსთან შესაბამისობაზე. მან აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მან დაამატა, რომ ვიზიტის შემდეგ, დაწესებულებამ ასევე გააგზავნა წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან აღნიშნული წესის შესათანხმებლად.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანური რესურსის შესაბამისობაზე ავტორიზაციის სტანდარტებთან. მან აღნიშნა, რომ ინტერვიუირების პროცესის დროს გამოიკვეთა ხარვეზი, კერძოდ, სკოლაში სპორტის მასწავლებლის არარსებობის გამო არ ტარდებოდა სპორტისა და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები, ხოლო მის ნაცვლად ტარდებოდა ჭადრაკის გაკვეთილები. ექსპერტის თქმით, სკოლამ ვიზიტის შემდეგ პერიოდში გამოაცხადა ვაკანსია და აიყვანეს სპორტის მასწავლებელი.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც სკოლაში იკვეთებოდა ხარვეზი. კერძოდ, ყველა მასწავლებელთან იყო გაფორმებული იდენტური ხელშეკრულებები, მიუხედავად მათი სტატუსებისა. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ხელშეკრულებებით მოწვეულ მასწავლებლებს ჰქონდათ სრული საათობრივი დატვირთვა. მან დაამატა, რომ ვიზიტის შემდეგ სკოლამ წარმოადგინა ახალი ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც მოწვეულ მასწავლებლებთან გაფორმებული იყო ახალი ხელშეკრულებები და მათ გაწერილი ჰქონდათ კანონით მინიჭებული 9 საათის დატვირთვა.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა იმ რეკომენდაციებზე, რაც ვიზიტის დროს მიეცა დაწესებულებას. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოსწავლეებისთვის მიწოდებული ყოფილიყო მეორე უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა, რადგან შეთავაზებული იყო მხოლოდ ერთი უცხო ენა (რუსული ენა). ასევე, ექსპერტმა აღნიშნა მოსწავლის შეფასების სისტემა, რომელიც, მისი თქმით, უცვლელად იმეორებდა ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემას. შესაბამისად, ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია სკოლას შეემუშავებინა საკუთრი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ექსპერტმა, აგრეთვე, აღნიშნა მიზნობრივი კვლევები, რომლებიც უნდა განეხორციელებინა სკოლას საკუთარი საჭიროებების, სამოქმედო გეგმისა და გაუმჯობესების მექანიზმების შესაქმნელად. ექსპერტის თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია შენობის ახალი აზომვითი ნახაზის შექმნას შეეხებოდა, რადგანაც საკლასო ოთახების განლაგება სკოლას ჰქონდა შეცვლილი. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული სკოლამ განახორციელა ასევე, ექსპერტთა ვიზიტის შემდგომ და წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის დახურულ სპორტულ დარბაზს არ ჰქონდა გასახდელები, ხოლო ღია სპორტულ მოედანზე არ იყო დაგებული მწვანე საფარი, თუმცა აღნიშნული საფარი სკოლას ვიზიტის დროს უკვე შეძენილი ჰქონდა. ექსპერტმა ისაუბრა

ადაპტირებულ სველ წერტილზეც და აღნიშნა, რომ სკოლაში ვიზიტის დროს იყო მხოლოდ ერთი ადაპტირებული სველი წერტილი. ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ადაპტირებული სველი წერტილი გაკეთებულიყო როგორც ბიჭებისთვის, ასევე გოგონებისთვის. რაც, ექსპერტის თქმით, სკოლამ გამოასწორა და ვიზიტის შემდგომ გამოაგზავნა დამადასტურებელი ფოტო მასალა.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა საკლასო ოთახებში დამონტაჟებულ ვიდეო კამერებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კამერები იყო გამორთულ მდგომარეობაში, თუმცა მისი თქმით, ექსპერტთა მხრიდან გაცემული იყო რეკომენდაცია აღნიშნული კამერების დემონტაჟთან დაკავშირებით. ექსპერტმა დასძინა, რომ დემონტაჟი განხორციელდა და სკოლის მხრიდან გადმოგზავნილი იყო შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტმა ისაუბრა სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების წესის შესახებ, რომელთან მიმართებითაც, ექსპერტის თქმით სისრულეში იყო მოსაყვანი სკოლის ინფრასტრუქტურა, რადგანაც საევაკუაციო კარებები იღებოდა შენობის შიდა მხარეს. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ ვიზიტის შემდგომ გამოსწორებული ფოტო მასალა წარმოადგინა.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა სკოლის შიდა მონიტორინგის ფორმების შესახებ, მისი განმარტებით ეს საკითხები იყო ბუნდოვანი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, სკოლას შეემუშავებინა წინარე საჭიროებებზე დაყრდნობით მომავალი სამოქმედო გეგმა. აგრეთვე, ექსპერტმა ისაუბრა სკოლაში მასწავლებელთა აყვანის პროცესების შესახებ, რასთან დაკავშირებითაც, სკოლას მიეცა ასევე, რეკომენდაცია. აგრეთვე, ექსპერტმა დასძინა, რომ მათი მხრიდან იყო გაცემული რეკომენდაცია შეემუშავებინა სკოლას ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, რომ 2017 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები იყო თუ არა შესრულებული. რაზეც ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა უპასუხა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები არ იყო შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, სკოლის არგუმენტი დოკუმენტაციის არარსებობასთან ან/და მოქმედი კანონმდებლობის შეუსაბამობასთან დაკავშირებით, როგორ იყო კავშირში ქვეყანაში არსებულ პანდემიურ სიტუაციასთან. აგრეთვე, დავით მალაზონია დაინტერესდა სპორტის მასწავლებლის არარსებობასთან დაკავშირებითაც. მან იკითხა, თუ რატომ მოხდა, რომ სკოლამ არ გამოაცხადა ვაკანსია აღნიშნულ პოზიციაზე. რაზეც სკოლის იურისტმა ნათია ქაჯაიამ უპასუხა, რომ სკოლაში არსებულ სპორტის მასწავლებელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოუწია ქვეყნის საზღვრებს გარეთ წასვლა, რა პერიოდშიც სკოლის თქმით, გამოცხადდა ვაკანსია, თუმცა შესაბამისი კადრი ვერ შეირჩა. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კომენტარის სახით დასძინა, რომ სკოლას არ ჰქონდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რიგი დოკუმენტები და სწორედ, ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ მოხდა აღნიშნული დოკუმენტაციის შემუშავება ან/და სრულყოფა, რაც მისი თქმით, სკოლას არ უნდა დაეკავშირებინა პანდემიურ სიტუაციასთან.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართ დაწესებულების წარმომადგენლებს, ეთანხმებოდნენ თუ არა ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნას, რაზეც სკოლის იურისტმა უპასუხა, რომ სკოლა აღნიშნულ დასკვნას ეთანხმებოდა. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, ასევე იკითხა, თუ რატომ იყო სკოლის ვებ-გვერდზე წარჩინებული მოსწავლეების შესახებ ინფორმაცია განთავსებული. კერძოდ, მათი აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია,

სადაც, მისი თქმით იკვეთებოდა პერსონალური მონაცემების შესახებ კანონის დარღვევა. რაზეც სკოლის იურისტმა, ნათია ქაჯაიამ უპასუხა, რომ საბჭოს სხდომის მიმდინარეობის დროს სკოლას აღნიშნული ინფორმაცია უკვე წაშლილი ჰქონდა დაწესებულების ვებ-გვერდიდან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს. მისი თქმით, სკოლის მისიაში ეწერა, რომ სკოლას უნდა აღეზარდა დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლას მკვეთრად ჰქონდა შემცირებული საათობრივი ბადე ისეთი საგნებისა, რომლებიც აღნიშნული მისიის მიღწევას უნდა ემსახურებოდნენ. საბჭოს წევრის, შალვა მეკრავიშვილის კითხვა სწორედ აღნიშნულ საათობრივ ბადეს შეეხებოდა, თუ რატომ იყო კონკრეტული საგნების, კერძოდ, მე და საზოგადოების, მოქალაქეობისა და სამოქალაქო განათლების საათები შემცირებული. აღნიშნულზე ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა უპასუხა, რომ სწორედ ამ გერემოებების გამო მიეცა რეკომენდაცია სკოლას, რომ მესამე მოდელის საათობრივი ბადე შეეთანხმებინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლის იურისტმა, ნათია ქაჯაიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული თანხმობა სამინისტროსგან უკვე მიღებული ჰქონდა სკოლას და მიწოდებული იყო საბჭოს წევრებისთვისაც საბჭოს სხდომის დაწყებამდე. ასევე, მან დასძინა, რომ სკოლა აღნიშნულ მიზანზე გადიოდა სხვადასხვა სასკოლო აქტივობების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საშუალებით. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის იურისტს, იყო თუ არა ჩამოთვლილი საკითხები სასკოლო კურიკულუმის ნაწილი. სკოლის იურისტმა, ნათია ქაჯაიამ უპასუხა, რომ ეს საკითხები ნაწილობრივ კურიკულუმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და, ასევე აღნიშნული ხორციელდებოდა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ როგორ შეესაბამებოდა სკოლის მიერ გამოსწორებული დოკუმენტები სკოლაში არსებულ რეალურ სურათს და რამდენად იღებდნენ მოსწავლეები საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესაბამის ცოდნასა და უნარებს. სკოლის იურისტმა, ნათია ქაჯაიამ უპასუხა, რომ ექსპერტები სკოლაში ვიზიტის დროს დოკუმენტების შინაარსობრივი ნაწილის შესწავლის შედეგად იყვნენ მისულები დასკვნამდე, რომ სკოლაში იყო ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემო მოსწავლეებისთვის. ნათია ქაჯაიამ დასძინა, რომ სკოლა მუშაობდა ყველა შესაბამისი მიმართულებით, თუმცა აღნიშნული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ ჰქონდა სკოლას სრულყოფილად შემუშავებული ვიზიტის დროს.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ სკოლას არასრული წლის ვადით ჰქონდა გაფორმებული მასწავლებლებთან ხელშეკრულებები სექტემბრის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით. ია გიგიბერიამ იკითხა, თუ რა იყო სკოლის გეგმა აღნიშნულთან დაკავშირებით. რაზეც სკოლის იურისტმა, ნათია ქაჯაიამ უპასუხა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ახალი ხელშეკრულებები მასწავლებლებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა მასწავლებელთა სტატუსებსა და ფუნქცია-მოვალეობებს. მისი თქმით, ახალ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული იყო შრომის პირობები, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს შრომის კოდექსს, როგორიცაა მასწავლებლის ზეგანაკვეთური მუშაობა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ნათია ქაჯაიამ დაამატა, რომ სკოლის ბიუჯეტში იყო ჩადებული პროექტი, რომელიც სამომავლოდ ითვალისწინებდა მასწავლებლებისთვის ზაფხულის არდადეგების პერიოდში ანაზღაურების მიცემას, რაც სკოლას მისცემდა საშუალებას მასწავლებლებთან გაეფორმებინა 1 წლიანი ხელშეკრულებები. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კითხვით მიმართა სკოლას, თუ გაიცემოდა აქამდე მასწავლებლებზე ზაფხულის ანაზღაურება. რაზეც ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა უპასუხა, რომ ექსპერტებიც დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით ვიზიტის დროს და შესაბამისად მან აღნიშნა, რომ

მასწავლებლები, რომლებიც დასაქმებული იყვნენ 2 წელზე მეტი ხნით იღებდნენ ზაფხულის ანაზღაურებას, ხოლო მასწავლებლები, რომელთა გამოცდილებაც სკოლაში არ შეადგენდა 2 წელს, ზაფხულის არდადეგების დროს ანაზღაურებას არ იღებდნენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა ამ ეტაპზე სკოლაში, მათ შორის მე-12 კლასში. სკოლის იურისტმა, ნათია ქაჯაიამ უპასუხა, რომ სკოლაში ირიცხებოდა 301 მოსწავლე, ხოლო დამამთავრებელ კლასში იყო 14 მოსწავლე.

საბჭოს სხდომაზე 16:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2^2 პუნქტის, მე-14 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს კერძო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა პოლუსს (ს/კ.: 406040243) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს გადაწყვეტილებით, ვინაიდან დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის გადაწყვეტილება სასწავლო წლის განმავლობაში იქნა მიღებული, საბჭო იყენებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას და დაწესებულების შუამდგომლობისა და მოსწავლეების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, ავტორიზაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, დაწესებულების მოსწავლეებს მიეცემოდათ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო წელი აღნიშნულ დაწესებულებაში დაესრულებინათ და სკოლისთვის ხელახალ ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად საბჭო განსაზღვრავდა არაუგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების თარიღს. დაწესებულების განცხადებით აღნიშნულ თარიღს წარმოადგენდა 15 ივნისი.

აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 15 ივნისი.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ განმარტა, რომ ის გადაწყვეტილების მიღებსას პირველ რიგში დაეყრდნო ექსპერტთა ჯგუფის შეფასებას, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სამივე სტანდარტი დარღვეული იყო. ამასთან, ის ვერ ხედავდა სკოლის მხრიდან მზაობას აღნიშნული დარღვევების აღმოსაფხვრელად. აღნიშნული დარღვევები იყო მრავლობითი, რაც მიუთითებდა სკოლის, როგორც ინსტიტუციის ხარვეზებზე და ეჭვის ქვეშ აყენებდა მოსწავლის შედეგზე ორიენტირებას და სკოლის მდგრად განვითარებას. დავით მალაზონიას თქმით, ასევე მისთვის

მოულოდნელობას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ საბჭოს სხდომაზე სკოლის რეავტორიზაციის საკითხის განხილვაში სკოლის პოზიციას წარმოადგენდა მხოლოდ სკოლის იურისტი და არ ერთვებოდა სკოლის დირექტორი, რომელიც ასევე, ესწრებოდა ზეპირ განხილვას.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ დამატებით დასძინა, რომ ის დაეყრდნო ფაქტობრივ ინფორმაციას, რომელიც დაწესებულებისა და ექსპერტების მიერ იქნა მოწოდებული. მისი განმარტებით, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტები, რომელიც შემუშავდა საავტორიზაციო ვიზიტის შემდეგ. ზვიად გოგუაძის თქმით, ასევე, სკოლას უნდა გაეთვალისწინებინა ცენტრის მიერ განხორციელებული შეფასებების შედეგად ექსპერტთა მხრიდან მიღებული რეკომენდაციები.

3. შპს პოლიგლოტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ. ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდა ავტორიზაციის დებულების მე-7 მუხლის „ზ“ პუნქტისა და მე-8 მუხლის „ვ“ პუნქტის შემოწმების მიზნით, რაც გულისხმობდა მატერიალური რესურსის იმ ქვესტანდარტის შემოწმებას, რომელიც შეეხებოდა სკოლის მარეგულირებელ დოკუმენტებს და ადამიანური რესურსის იმ ქვესტანდარტის შემოწმებას, რაც გულისხმობდა სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს, რაც ხელს უწყობდა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა სახალხო დამცველის მიერ ცენტრში გამოგზავნილი წერილის საფუძველზე, რომელიც შეეხებოდა სკოლის მოსწავლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესაძლო დარღვევის გარემოებებს. მან აღნიშნა, რომ სკოლის შინაგანაწესი შესაბამისობაში იყო მოქმედ კანონმდებლობასთან. თუმცა, ექსპერტის თქმით იყო გარკვეული უზუსტობები, კერძოდ სკოლის შინაგანაწესის მიხედვით სკოლაში არსებობდა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მთავარი მიმართულება იყო სკოლაში დისციპლინური გადაცდომების კონტროლი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულ ჯგუფს დაწერილი ჰქონდა მხოლოდ ოქმები, რის შემდეგაც წყდებოდა საქმის განხილვა და შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ გასაუბრებით მოსწავლესთან ფსიქოლოგის ან დირექტორის მხრიდან.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების საფუძველზე სკოლას მოეთხოვებოდა მასწავლებლებს წარმოედგინათ ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ბრძოლის შესახებ. მან დასძინა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა

აღნიშნული ცნობა მასწავლებლებისგან მიღებული. შესაბამისად, ექსპერტის თქმით, მათგან გაიცა რეკომენდაცია აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად.
რაც შეეხებოდა სკოლაში დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს, ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის თქმით, სკოლის მხრიდან პრობლემის აღმოსაფხვრელად ბრძოლა იყო ლოკალური. მისი თქმით, აღნიშნული გამოიხატებოდა თუნდაც იმაში, რომ სკოლამ ინტერვიუირებისას წარმოადგინა მხოლოდ ის მასწავლებლები, რომელთაც აღნიშნულ შემთხვევასთან ჰქონდათ კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა მოთხოვნა იყო კლასის ყველა მასწავლებელთან გასაუბრება.
ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ ისაუბრა იმ რეკომენდაციაზე, რაც მათი მხრიდან სკოლას მიეცა. მისი თქმით, ეროვნული სასწავლო გეგმის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე არის მოსწავლე, რომელსაც აქვს ქცევითი და ემოციური დარღვევები. შესაბამისად, ექსპერტის თქმით, უმჯობესი იქნებოდა მოსწავლის მშობლისთვის შეთავაზებული ყოფილიყო მულტიდისციპლინური გუნდის ჩარევა და არა ფსიქიატრისა და ნერვოლოგის დახმარების შეთავაზება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა, თუ რატომ ვერ მოხერხდა ინტერვიუირებისას სხვა მასწავლებლების ჩართვა და რატომ არ ფუნქციონირებდა სკოლის ვებ-გვერდი. სკოლის დირექტორმა, მზია დაუშვილმა განაცხადა, რომ სკოლის ვებ-გვერდზე შეინიშნებოდა კიბერთავდასხმა და აღნიშნული მიზეზით იყო დროებით გათიშული დაწესებულების ვებ-გვერდი. რაც შეეხებოდა ინტერვიუზე მასწავლებლების მოწვევას, სკოლის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფს შეხვდა მხოლოდ ის პედაგოგები, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდათ საგაკვეთილო პროცესის გათვალისწინებით.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას, თუ რა ზომები მიიღო სკოლამ მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა, რომ მოსწავლეს უფიქსირდებოდა გაცდენები, კერძოდ, მე-10 და მე-20 გაცდელ დღეზე. რაზეც სკოლის დირექტორმა, მზია დაუშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით მშობლებს წერილი გაეგზავნათ პირველ ეტაპზე საქართველოს ფოსტის მეშვეობით, თუმცა შემდეგ პირადად მოსწავლის მამის სამუშაო ადგილას. მისი თქმით, მშობლები ინფორმირებულები იყვნენ მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პოლიგლოტისავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს პოლიგლოტის (ს/კ.: 200160798) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:50 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა